

James Womack. Georgian Flashman. Kvachi by Mikheil Javakhishvili (Translated by Donald Rayfield). Literary Review 77. December 2015/ January 2016. Georgian translation of the review by Giorgi Meladze.

ჯეიმზ უომაკი – ქართველი თაღლითი, მიხეილ ჯავახიშვილის კვაჭი. (თარგმანი დონალდ რეიფილდისა). ლიტერატურული მიმოხილვა 77. დეცემბერი 2015/იანვარი 2016.

არ შემიძლია, ეს რეცენზია მაიკლ კეინისავით არ დავიწყო და არა ვთქვა, რომ ქართული ლიტერატურის ჩვენამდე მოღწეული უძველესი ძეგლი, ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები „შუშანიკის წამება“, დაახლოებით ჩვენი წელთაღრიცხვის 480 წლით თარიღდება. ეს უმრავლესობამ არ იცის. კაცმა რომ თქვას, უმრავლესობამ არც ქართულ ლიტერატურაზე, როგორც ასეთზე, იცის მაინცდამაინც ბევრი. ამით იმის თქმა გვსურს, რომ ამ რომანის გარეკანზე დასაბეჭდი საუკეთესო სარეკლამო ანოტაცია შეიძლებოდა ყოფილიყო ფრაგმენტი მისი მთარგმნელის მიერვე დაწერილი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ამან კი შეიძლება დაგვაეჭვოს და გვაფიქრებინოს, ხომ არა გვაქვს აქ საქმე „ნიშურ“ ლიტერატურასთან ე.წ. „მცირე“ ენაზე, რომელიც მარტოოდენ რამდენიმე ვიწრო სპეციალისტის ინტერესის საგანს თუ შეიძლება წარმოადგენდეს?!

და მაინც, ეს ასე არ უნდა იყოს. მთარგმნელია ბრწყინვალე დონალდ რეიფილდი, რომელსაც თანამედროვეთაგან ყველაზე დიდი ღვაწლი მიუძღვის ინგლისურენოვან სამყაროში ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციის საქმეში, თავად რომანი „კვაჭი კვაჭანტირაძე“ კი, უბრალოდ, ფანტასტიკურია. ეს არის „ფლეშმენის ჩანაწერების“ (ჯორჯ მ. ფრეიზერის ავანტიურული რომანების სერიის) თავისებური კავკასიური ვარიანტი, რომელიც კვაჭი კვაჭანტირაძის ცხოვრების ისტორიას მოგვითხრობს. კვაჭი, ეს თავაშვებულობით გამორჩეული ყმაწვილი, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს დაიბადა საქართველოში, ხელმოკლე და ნამუსგარეცხილი მშობლების ოჯახში. მოგვიანებით იგი ხდება პროფესიონალი აფერისტი, დიდი მექალთანე, რასპუტინის

ნდობით აღჭურვილი პირი, თვითმარქვია თავადი და, დასასრულ, სა-
როსკიპოს მფლობელი, რითაც იგი კვლავ და კვლავ შოკში აგდებს სა-
ზოგადოებას (იმავე მაიკლ კეინის სიტყვებია: „მე ნამდვილი კომმარი
ვარ ყველა ბურჟუასთვის – კოკნი, ლონდონელი მდაბიო, რომელსაც
ჭკუაცა აქვს და მილიონი დოლარიც“).

მაგრამ „კვაჭი კვაჭანტირაძე“ უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ
სახალისო ავანტიურული რომანი. არადა, ძნელი წარმოსადგენიც
კია, როგორ შეიძლება ნაწარმოები ამაზე უფრო სახალისო და ავან-
ტიურული იყოს; ამას კი განსაზღვრავს ის, თუ როგორ ესმის მიხეილ
ჯავახიშვილს სიუჟეტზე მკითხველის ყურადღების კონცენტრირების
ხელოვნება, როგორ ახერხებს იგი ჩვენი ინტერესის შენარჩუნებას და
როგორ გვაიძულებს, კვაჭის ხრიკებზე ვიცინოთ და თან განუწყვეტ-
ლივ იმაზედაც ვიფიქროთ, თუ როგორ დაიძვრენ იგი თავს მორიგი
ფათერაკიდან. ამავე დროს, ჯავახიშვილი იმასაც გვიჩვენებს, თუ რა
შედეგები მოაქვს კვაჭის ანარქისტულ ქმედებებს სხვა ადამიანთათ-
ვის. იგივე იმპულსები – უტიფრობა, ნებისმიერ ფასად გამარჯვების
მიღწევის აბსოლუტურად დაუოკებელი ჟინი – გვჩუქნიან თავაწყ-
ვეტილი კომიზმით აღბეჭდილ ეპიზოდებს, როდესაც, მაგალითად,
კვაჭი მამამისის სიცოცხლეს აზღვევს, შემდეგ კი არწმუნებს მას, სა-
კუთარი სიკვდილის ინსცენირება მოახდინოს, და ამავე დროს წარ-
მოგვიდგენენ წიგნის ყველაზე უფრო მძიმე სცენას, როდესაც კვაჭი
განზრახ უტეხს სახელს ახალგაზრდა ქალს, რომლისთვისაც ძალით
ნამუსის ახდას იგი მანამდე შეეცადა.

თავდაპირველად ჯავახიშვილი თურმე აპირებდა „კვაჭი კვაჭან-
ტირაძე“ ესკიზების კრებულის სახით დაეწერა, თუმცა მოგვიანებით,
უკვე ნაწარმოებზე მუშაობის პროცესში, რაღაც ეტაპზე გადაუწყ-
ვეტია, იგი რომანად ექცია. მიუხედავად ამისა, რომანის სიუჟეტის
განვითარებაში ესკიზურობა მაინც იგრძნობა და, გარკვეულწილად,
მის საფუძველსაც შეადგენს. იმისდა მიუხედავად, რომ რომანი და-
წერილია 1924 წელს, როდესაც დასავლეთ ევროპაში მოდერნიზმით
გატაცებამ თავის პიკს მიაღწია (ჯავახიშვილი კი პროვინციელი
ტეტია როდი იყო: იგი დიდხანს ცხოვრობდა ემიგრანტად საფრან-
გეთში, ბევრს მოგზაურობდა ევროპასა და შეერთებულ შტატებში),
„კვაჭი კვაჭანტირაძის“ მაცოცხლებლად სასიამოვნო თავისებურება
ისაა, რომ მასში პრაქტიკულად არ იგრძნობა, რომ ავტორი საკუთარ
რომანს თავდაჯერებულად აღიქვამდეს ხელოვნების ნაწარმოებად.
მრავალი თვალსაზრისით, იგი მომაგონებს კიდევ ერთი დიდი ქართ-
ველი ხელოვანის, ნიკო ფიროსმანის შემოქმედებას – თვითნასწავლი
მხატვრისა, რომლის რუსოსეულ ტილოებზეც ასახულია ქეიფებისა

და მღვდლების ქვეყანა, დახატული დიდი ენთუზიაზმითა და ისეთ შემზღუდველ დასავლურ პირობითობათა სრული უგულებელყოფით, როგორებიცაა პერსპექტივა ან მასშტაბი. „კვაჭი კვაჭანტირაძის“ ფაბულა ელვისებურად გადადის ერთი ამბიდან მეორეზე, რიკოშეტით ასხლეტილ ტყვიასავით მიმოიქცევა ქვეყნებსა და ენებს შორის (წიგნისათვის წამძღვარებულ კომენტარში რეიფილდი თავშეკავებული იუმორით აღნიშნავს ზოგიერთ იმ გადაულახავ სირთულეს, რომელთაც იგი თარგმნის პროცესში გადააწყდა: მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი სირთულე სასაუბრო ქართული ენის სამი ნაირსახეობა ყოფილა, რაც მკითხველს სულის მოთქმის საშუალებასაც არ აძლევს. მილიონობით მანეთს იპარავენ, ფლანგავენ და მერე ისევ მიიტაცებენ; ფული ღვინოსავით იღვრება.

სიუჟეტის ამგვარ მრავალფეროვნებას, ამ უზარმაზარ სულიერ თავისუფლებას, რომანს ესოდენ რომ აცოცხლებს, ნეგატიური მხარეც ახლავს: წერის მანერა ყოველთვის ისეთი გამოზომილი როდია, როგორიც შეიძლებოდა ყოფილიყო: ეს არის ხმაურითა და ალიაქოთით, დავა-კამათისა და ღვინის სმის სცენებით აღსავსე რომანი, რომელშიც თითქმის აღარ რჩება ადგილი პერსონაჟის ხასიათის განვითარების ან თუნდაც მისი დახასიათებისთვის. გაგვიჭირდებოდა რომანის მრავალრიცხოვანი პერსონაჟების ერთმანეთისგან განსხვავება იმ სიტყვებისა თუ რეპლიკების მიხედვით, რომელთაც მათ ავტორი ათქმევინებს. ერთადერთ ბრწყინვალე გამონაკლისს წარმოადგენს ჯავახიშვილის მიერ დახატული პორტრეტი რასპუტინისა, რომელიც წამდაუწუმ მიუჯდება ხოლმე მაგიდას და განკარგულებებს სწერს მეფესა და მის მინისტრებს: მისი უწიგნური მოწოდებები მუდამ ერთნაირად სასაცილოა.

რომანი თავის საბოლოო სახეს მეორე ნახევარში იძენს, როდესაც ჯავახიშვილი აღწერს კვაჭის კონტაქტებს რუსებთან რევოლუციის, სამოქალაქო ომისა და საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის პირველ წლებში; ნათელი ხდება, რომ ის, რაც ტრადიციული მორალის მასხრად აგდებასა და პიკარესკულობის განდიდებას ჰგავდა, სინამდვილეში თანაბრად ღირებულია როგორც რევოლუციური რეალპოლიტიკის მშვიდი და მიუკერძოებელი შეფასება. ეს არის საოცარი რომანი, ერთდროულად მახვილგონივრულიცა და ექსტრავაგანტურიც, რომლის ავტორიც თითქოს ინტუიციასა და იმპროვიზაციას მიჰყვება, მაგრამ სინამდვილეში მუდამ ზუსტად აცნობიერებს, როგორ დაუკავშიროს ერთმანეთს სტრუქტურა და იმპროვიზაცია. ეს ნაწარმოები მხატვრულად უაღრესად მდიდარია, იგი ვერ ეტევა თავის, ერთი შეხედვით, ვიწრო ჩარჩოებში და იმაზე გაცილებით მეტის მომცემია, ვიდრე თავ-

დაპირველად ველოდით. ეს იმას ჰგავს, მეტაფორულად თუ ვიტყვით, დაინახო, როგორ აფეთქდა მთელი მიკროავტობუსი, როცა მხოლოდ და მხოლოდ მისი წყეული კარის მოგლეჯა გინდოდა და სხვა არაფერი.

თარგმნა გიორგი მელაძემ

BRIEF REVIEWS

James Womack

Translated into Georgian by *Giorgi Meladze*

Georgian Flashman

This paper is the Georgian translation of James Womack's review (published in *Literary Review* 77, December 2015/January 2016) on a novel "Kvachi Kvachantiradze" by a renowned Georgian writer, Mikheil Javakhishvili. The novel was translated into English by a prominent literary critic and translator, Donald Rayfield. The Georgian translation of the review is by Giorgi Meladze.